



უშიშროების საბჭო

გავრცელება: ზოგადი  
2009 წლის 30 სექტემბერი

არაოფიციალური თარგმანი

## რეზოლუცია № 1888 (2009)

მიღებულია უშიშროების საბჭოს მიერ 6195-ე სხდომაზე  
2009 წლის 30 სექტემბერს

*უშიშროების საბჭო,*

კიდევ ერთხელ ადასტურებს ვალდებულებას, რომ გააგრძელებს და სრულად განახორციელებს რეზოლუციებს 1325 (2000), 1612 (2005), 1674 (2006), 1820 (2008), 1882 (2009) და მისი პრეზიდენტის ყველა შესაბამის განცხადებას,

მიესალმება გენერალური მდივნის 2009 წლის 16 ივლისის ანგარიშს (S/2009/362), თუმცა გამოხატავს უკიდურეს შეშფოთებას, რომ მდგომარეობა არ გამოსწორებულა შეიარაღებული კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის, კერძოდ ქალებისა და ბავშვების, განსაკუთრებით კი გოგონების მიმართ ძალადობის კუთხით და აღნიშნავს, რომ, როგორც გენერალური მდივნის ანგარიშშია დასაბუთებული, სექსუალური ძალადობა მსოფლიოს ყველა შეიარაღებული კონფლიქტის თანმდევი მოვლენაა,

კიდევ ერთხელ გამოხატავს უკიდურეს შეშფოთებას, რომ მიუხედავად შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის, მათ შორის სექსუალური ძალადობის, მრავალჯერ დაგმობისა და შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარის მიმართ ამგვარი ქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ მოწოდებებისა, მსგავსი ფაქტები მაინც ხდება, ზოგიერთ შემთხვევაში კი უფრო სისტემატურ და ფართომასშტაბიან ხასიათსაც იძენს,

ეყრდნობა პეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის (A/52/231), აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 23-ე საგანგებო სესიაზე მიღებული დოკუმენტის „ქალები 2000: გენდერული თანასწორობა, განვითარება და მშვიდობა 21-ე საუკუნეში“ (A/S-23/10/Rev.1) საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებებს, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც ქალებსა და შეიარაღებულ კონფლიქტს ეხება,

კიდევ ერთხელ ადასტურებს მონაწილე ქვეყნების ვალდებულებას ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციისა თუ მისი ფაკულტატიური ოქმების მიხედვით და მოუწოდებს კონვენციის არაწევრ სახელმწიფოებს მიუერთდნენ მას ან უზუზრუნველყონ მისი რატიფიცირება,

კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი უზრუნველყოფს ქალებისა და ბავშვების, როგორც სამოქალაქო მოსახლეობის ნაწილის, განსაკუთრებულ დაცვას შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რადგანაც მათ შესაძლოა განსაკუთრებული საფრთხე ემუქრებოდეთ,

კიდევ ერთხელ შეახსენებს სახელმწიფოებს ვალდებულებებს, რომ ბოლო მოუღონ დაუსჯელობის პრაქტიკას და სასამართლოს წინაშე პასუხი აგებინონ გენოციდში, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში, ომის დანაშაულსა და სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილ სხვა შემზარავ დანაშაულში დამნაშავე პირებს; ასევე, შეშფოთებით აღნიშნავს, რომ სექსუალურ ძალადობაში მხილებულთა მხოლოდ მცირე ნაწილი წარდგება მართლმსაჯულების წინაშე, რადგან კონფლიქტის დროს, თუ მის შემდგომ პერიოდში შესაძლოა მნიშვნელოვნად იყოს დასუსტებული მართლმსაჯულების ეროვნული სისტემები,

კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დაუსჯელობის სინდრომის აღმოფხვრა აუცილებელია, თუ კონფლიქტის პირობებში ან კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციის პროცესში მყოფ საზოგადოებას სურს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ სამოქალაქო პირთა მიმართ წარსულში ჩადენილი დანაშაულის აღიარება და მომავალში მსგავს დანაშაულთა განმეორების აღკვეთა; ყურადღებას ამახვილებს სამართლებრივი და შერიგების მექანიზმების ფართო სპექტრზე, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია, მათ შორის ეროვნულ, საერთაშორისო და `შერეულ` სასამართლოებსა და ტრიბუნალებზე, სიმართლის დადგენისა და შერიგების კომისიებზე; ამასთან, აღნიშნავს, რომ, ამ მექანიზმების საშუალებით, სერიოზულ დანაშაულთან მიმართებაში, შესაძლებელია არა მარტო ინდივიდუალური პასუხისმგებლობის, არამედ ისეთი საკითხების წამოწევაც, როგორცაა მშვიდობა, სიმართლე, შერიგება და დაზარალებულთა უფლებები,

შეგვახსენებს, რომ სექსუალური ძალადობის ზოგიერთი დანაშაული ჩართულია სისხლის სამართლის საქმეთა საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტში და საგანგებოდ შექმნილი საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალების სტატუტებში,

ბაზგასმით აღნიშნავს, რომ აუცილებელია კონფლიქტის ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო მხარემ მთლიანად შეასრულოს შესაბამისი საერთაშორისო კანონებით გათვალისწინებული საკუთარი ვალდებულებები, მათ შორის სექსუალური ძალადობის ყველა ფორმასთან ბრძოლა,

აღიარებს აუცილებლობას, რომ სამოქალაქო და სამხედრო ხელმძღვანელებმა, ზემდგომთა პასუხისმგებლობის პრინციპის მიხედვით, გამოხატონ სექსუალური ძალადობის აღკვეთის გადაწყვეტილების ერთგულება და პოლიტიკური ნება;

ებრძოლონ დაუსჯელობას და გაიფართოონ პასუხისმგებლობა; უმოქმედობა კი აღიქმება, როგორც კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის შემთხვევების მიმართ შემწყნარებლობა,

*ბაზს უსვამს*, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სამშვიდობო და საშუამავლო პროცესების დასაწყისშივე სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება საფრთხის წინაშე მყოფი მოსახლეობის დასაცავად და სრული სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით ჰუმანიტარული დახმარებების გაწევისას ცეცხლის შეწყვეტამდე და ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ შეთანხმებების მიღწევის დროს, ცეცხლის შეწყვეტისა და მისი მონიტორინგის, განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროცესში (DDR), უსაფრთხოების სექტორის რეფორმის (SSR) ფარგლებში, მართლმსაჯულების აღსრულებისა და რეპარაციის, კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციისა და განვითარების დროს,

*შეშვოთებით აღნიშნავს* ოფიციალურ სამშვიდობო პროცესებში ქალთა წარმომადგენლობის სიმცირეს, ასევე, სექსუალური ძალადობის საკითხებში შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი მედიატორებისა თუ ცეცხლის შეწყვეტის მონიტორების სიმცირესა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხარდაჭერილ სამშვიდობო მოლაპარაკებებში ხელმძღვანელ თუ წამყვან პოზიციებზე ქალი მედიატორების ნაკლებობას,

*აღიარებს*, რომ ქალების ხელშეწყობა და მათი უფლებამოსილების გაზრდა, ასევე, ქალთა ორგანიზაციებისა და ქსელების ხელშეწყობა გადამწყვეტია სამშვიდობო პროცესის განმტკიცებისა და ქალთა თანასწორუფლებიანი თუ სრული მონაწილეობის უზრუნველსაყოფად; მხარს უჭერს წევრ სახელმწიფოებს, დონორებს, სამოქალაქო საზოგადოებას, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომ უზრუნველყონ ამ საკითხის მოგვარება,

*მიესალმება* ქალთა ჩართვას სამოქალაქო, სამხედრო და პოლიციის ფუნქციების მქონე სამშვიდობო მისიებში; აღიარებს, რომ, შესაძლებელია, შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებულმა ქალებმა და ბავშვებმა უფრო უსაფრთხოდ თავი ქალ სამშვიდობოებთან მუშაობისას იგრძნონ და მეტად დაუკავშირდნენ მათ, თუ ძალადობის მსხვერპლნი გახდებიან; შესაძლოა, სამშვიდობოთა შორის ქალთა არსებობამ წაახალისოს ადგილობრივი ქალები, გაერთიანდნენ ეროვნულ შეიარაღებულ ძალებსა თუ უსაფრთხოების სამსახურებში, რითაც ხელს შეუწყობენ უსაფრთხოების იმგვარი სექტორის მშენებლობას, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასთვის და დახმარებას უწევს ყველას, განსაკუთრებით კი ქალებს,

*მიესალმება* სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტის ძალისხმევას სამშვიდობო ოპერაციებში ჩართული სამხედრო მოსამსახურეებისთვის გენდერულ საკითხებზე სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებასთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს 1325 (2000) და 1820 (2008) რეზოლუციების განხორციელებას; ასევე, ძალისხმევას სამოქმედო სახელმძღვანელოს შექმნასთან დაკავშირებით, რომელიც

დაეხმარება სამშვიდობო მისიების სამოქალაქო, სამხედრო და პოლიციის ნაწილებს ეფექტიანად განახორციელონ 1820 (2008) რეზოლუცია,

*ითვალისწინებს* გენერალური მდივნის 2009 წლის 16 სექტემბრის ანგარიშს (S/2009/465) და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წინამდებარე რეზოლუცია არ გულისხმობს სამართლებრივი დასკვნების გაკეთებას გენერალური მდივნის ანგარიშში წარმოდგენილი სიტუაციების შესახებ, თუ რამდენადაა შესაძლებელი მათი შეიარაღებულ კონფლიქტებად მიჩნევა ჟენევის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების მიხედვით; რეზოლუცია ასევე არ გულისხმობს აღნიშნულ სიტუაციებში ჩართული არაწევრი სახელმწიფოების სამართლებრივი სტატუსის დადგენას,

*შეგვახსენებს* 2009 წლის 4 აგვისტოს უშიშროების საბჭოს 1882 რეზოლუციაში წარმოდგენილ გადაწყვეტილებას, რომ გაფართოვდეს დანართში მოცემული იმ მხარეთა ჩამონათვალი, რომლებიც, საერთაშორისო სამართლის დარღვევით, შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვებს სამხედრო ძალად რთავენ და ამ ჩამონათვალს დაემატოს შეიარაღებული კონფლიქტის ის მხარეები, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის დროს, საერთაშორისო სამართლის დარღვევით, ჩართულნი არიან ბავშვთა კვლასა და დასახიჩრებაში ან/და გაუპატიურებასა და ბავშვთა წინააღმდეგ მიმართულ სხვა სახის სექსუალურ ძალადობაში,

*აღნიშნავს როლს*, რომელიც ამაჟამად დაეკისრა გენდერული საკითხების შესახებ საგანგებო მრჩევლის ოფისს, რომლის მიხედვითაც მან უნდა ჩაატაროს 1325 რეზოლუციის განხორციელების მონიტორინგი და ხელი შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემაში გენდერული საკითხების ინტეგრირებას, ქალთა გაძლიერებასა და გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას; მიუთითებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის ფარგლებში ამ სფეროში ქმედითი კოორდინირების მნიშვნელობაზე,

*აღიარებს*, რომ სახელმწიფოებს, შესაბამისი საერთაშორისო სამართლის მიხედვით, საკუთარი მოქალაქეებისა და მათ ტერიტორიაზე არსებული ყველა პირის უფლებათა დაცვასა და უზრუნველყოფაზე უშუალო პასუხისმგებლობა ეკისრებათ,

*კიდევ ერთხელ ადასტურებს*, რომ შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე მხარეებს ეკისრებათ უშუალო პასუხისმგებლობა, მიიღონ ყველა შესაძლო ზომა კონფლიქტით დაზარალებული ყველა სამოქალაქო პირის დასაცავად,

*კიდევ ერთხელ აცხადებს* საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის კუთხით საკუთარი უშუალო მოვალეობისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების შესახებ, რომ გააგრძელოს მუშაობა შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად სამოქალაქო პირთათვის მიყენებული ფართომასშტაბიანი ზიანის საკითხებზე, სექსუალური ძალადობის საკითხების ჩათვლით,

1. *კიდევ ერთხელ ადასტურებს*, რომ სექსუალური ძალადობა, როგორც სამოქალაქო პირთა წინააღმდეგ მიმართული ომის ტაქტიკა და სამოქალაქო

საზოგადოებაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების შემადგენელი ნაწილი, მნიშვნელოვნად ამძაფრებს დაძაბულობას შეიარაღებული კონფლიქტის დროს და შესაძლოა ხელი შეუშალოს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღდგენას; ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სექსუალური ძალადობის მსგავსი აქტების პრევენციითა და მათზე ქმედითი რეაგირებით საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანაა შესაძლებელი; გამოხატავს მზადყოფნას, უშიშროების საბჭოს მიერ დღის წესრიგით გათვალისწინებული სიტუაციების განხილვისას, გარემოებისამებრ გადადგას ნაბიჯები შეიარაღებული კონფლიქტის დროს ფართომასშტაბიან ან სისტემატურ სექსუალურ ძალადობაზე რეაგირებისთვის;

2. *კიდევ ერთხელ იმეორებს მოთხოვნას* შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარის მიმართ, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ყველა სახის სექსუალური ძალადობა;

3. *მოითხოვს*, რომ შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარემ დაუყოვნებლივ მიიღოს სათანადო ზომები სამოქალაქო პირების, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების, დასაცავად ყველა ფორმის სექსუალური ძალადობისგან, ანუ სხვა ზომებთან ერთად მოხდეს შესაბამისი სამხედრო დისციპლინური ზომების შემოღება და ზემდგომთა პასუხისმგებლობის პრინციპის განმტკიცება, სამხედრო შემადგენლობის ტრენინგი სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ყველა სახის სექსუალური ძალადობის კატეგორიული აკრძალვის შესახებ, იმ მცდარი მოსაზრებების გაქარწყლება, რომლებიც ხელს უწყობენ სექსუალურ ძალადობას და ეროვნულ ჯარებში გაწევრიანებულთა გადამოწმება, რათა გაირიცხონ ისინი, ვინც დაკავშირებულნი არიან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ჰუმანიტარულ უფლებათა სამართლის ნორმების დარღვევებთან, მათ შორის სექსუალურ ძალადობასთან;

4. *თხოვნიტ მიმართავს* გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, დანიშნოს საგანგებო წარმომადგენელი, რომელიც თანამიმდევრულად და სტრატეგიულად წარუძღვება და ეფექტიანად იმუშავებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არსებული საკოორდინაციო მექანიზმების გაძლიერებისთვის, ასევე, გასწევს ადვოკატირებას სხვა მხრეებთან, ქვეყნების მთავრობებთან, მათ შორის სამხედრო და სასამართლო სფეროების წარმომადგენლებთან, შეიარაღებული კონფლიქტის სხვა მხარეებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან, რათა გაეროს შტაბ-ბინისა თუ ქვეყნების დონეებზე ძალისხმევა მიმართული იყოს შეიარაღებული კონფლიქტის დროს სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული საკითხების გადასაჭრელად, ამავდროულად, უწყებათაშორისი ინიციატივის „გაეროს აქცია კონფლიქტების დროს სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ“ ფარგლებში, თანამშრომლობისა და კოორდინაციის წახალისებას ყველა შესაბამის მხარესთან მოახდენს;

5. *წახალისებს* ინიციატივის „გაეროს აქცია კონფლიქტების დროს სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ“ მონაწილე ორგანოებს, ასევე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის სხვა შესაბამის სტრუქტურებს, ხელი შეუწყონ გენერალური მდივნის ზემოხსენებულ საგანგებო წარმომადგენელს, გააგრძელონ და განამტკიცონ თანამშრომლობა თუ ინფორმაციის გაზიარება ყველა მონაწილე

მხარესთან კოორდინირების გაუმჯობესებისა და შტაბ-ბინისა თუ ქვეყნის დონეებზე გაწეული ძალისხმევის დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, ასევე, გაეროს მთლიანი სისტემის რეაგირების გაუმჯობესებისთვის;

6. *კატეგორიულად მოუწოდებს* წევრ სახელმწიფოებს, გარემოების მიხედვით, საერთაშორისო კანონების დაცვითა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს სექსუალურ ძალადობაში დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის მიზნით, დაუყოვნებლივ განახორციელონ მასშტაბური საკანონმდებლო და სასამართლო რეფორმები, რაც უზრუნველყოფს დაზარალებულთა ხელმისაწვდომობას მართლმსაჯულებაზე, რომლის მიხედვითაც მათ ეპყრობიან ღირსეულად, არიან დაცულნი და მიეცემათ სამართლებრივი კომპენსაციის მიღების საშუალება;

7. *კატეგორიულად მოუწოდებს* კონფლიქტის ყველა მხარეს, უზრუნველყონ სამოქალაქო თუ სამხედრო პირთა მიერ ჩადენილი სექსუალური ძალადობის შესახებ ანგარიშების დაწვრილებით გამოძიება, სავარაუდო დამნაშავენი წარსდგენენ მართლმსაჯულების წინაშე, ხოლო სამოქალაქო და სამხედრო ხელმძღვანელობამ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით გამოიყენოს საკუთარი უფლებამოსილება და ძალაუფლება სექსუალურ ძალადობასთან, მათ შორის დაუსჯელობასთან, საბრძოლველად;

8. *მიმართავს* გენერალურ მდივანს, მიიღოს სათანადო ზომები შეიარაღებული კონფლიქტების დროს სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის სწრაფად ჩამოყალიბებისთვის, რომელიც ადგილზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლობების მეშვეობით იმუშავეს, მასპინძელი მთავრობის თანხმობით დაეხმარება ეროვნულ ხელისუფლებას კანონის უზენაესობის განმტკიცებაში და გასცემს რეკომენდაციას, რომ გამოყენებული იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანური რესურსები თუ ნებაყოფლობითი კონტრიბუციები და არსებული ბაზისური გამოცდილება კანონის უზენაესობის განმტკიცების, სამოქალაქო და სამხედრო სასამართლო სისტემის, მედიაციის, სისხლის სამართლის გამოძიების, უსაფრთხოების სექტორის რეფორმის, მოწმეთა დაცვის, სამართლიანი მართლმსაჯულების სტანდარტებისა და საზოგადოების ინფორმირების სფეროებში, რათა სხვა საკითხებთან ერთად:

(ა) დაუსჯელობის აღკვეთის მიზნითა და ეროვნული შესაძლებლობების გაძლიერების თუ სამართლებრივი მექანიზმების ფართო სპექტრის გათვალისწინებით, მჭიდროდ ითანამშრომლონ ეროვნულ სამართლებრივ და სასამართლო სფეროების წარმომადგენლებთან და შესაბამისი მთავრობების სამოქალაქო თუ სამხედრო მართლმსაჯულების სისტემების სხვა წარმომადგენლებთან;

(ბ) გამოავლინონ ეროვნული რეაგირების ხარვეზები და ხელი შეუწყონ ერთიანი ეროვნული მიდგომის ჩამოყალიბებას შეიარაღებული კონფლიქტის დროს სექსუალურ ძალადობასთან საბრძოლველად, მათ შორის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამკაცრებით, დაზარალებულთა მონაწილეობისა და სასამართლო შესაძლებლობების გაძლიერებით;

(გ) შეიმუშაონ რეკომენდაციები შიდა და საერთაშორისო ძალისხმევით თუ რესურსების კოორდინირებისა და მთავრობების შესაძლებლობების განსამტკიცებლად, რათა შეძლონ შეიარაღებული კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის აღკვეთა;

(დ) ითანამშრომლონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიებთან, ქვეყანაში მოქმედ სააგენტოთა ჯგუფთან და გენერალური მდივნის ზემოხსენებულ საგანგებო წარმომადგენელთან 1820 (2008) რეზოლუციით გათვალისწინებული ზომების სრული განხორციელებისთვის;

9. *წახალისებს მთავრობებს*, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამის ორგანოებსა და სამოქალაქო საზოგადოებას, რათა ეროვნულ ხელისუფლებასთან ერთად ხელი შეუწყონ ეროვნული შესაძლებლობების გაზრდას სასამართლო და კანონის დამცველი სისტემების ფუნქციონირების გასამდიერებლად, განსაკუთრებით ისეთ სიტუაციებში, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის დროს სექსუალურ ძალადობას ეხება;

10. *კიდევ ერთხელ ადასტურებს განზრახვას*, რომ შეიარაღებული კონფლიქტის, მიზნობრივი სანქციების შემოღების ან განახლების დროს გაითვალისწინებს გაუპატიურების შემთხვევებსა და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმებთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს; მოუწოდებს ყველა მშვიდობისმყოფელსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა შესაბამის მისიებსა თუ სტრუქტურებს, განსაკუთრებით კი ბავშვებისა და შეიარაღებული კონფლიქტის საკითხებზე მომუშავე ჯგუფს, სექსუალური ძალადობის შესახებ ყველა სახის ინფორმაცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სანქციათა კომიტეტების მონიტორინგის ჯგუფებისა და ექსპერტთა ჯგუფების საშუალებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სანქციათა კომიტეტებს გაუზიარონ;

11. *გამოთქვამს განზრახვას*, სამშვიდობო მანდატების განახლებისა თუ დამტკიცების შესახებ რეზოლუციებში უზრუნველყოს სექსუალური ძალადობის პრევენციისა და მათზე რეაგირების შესახებ დებულებების ჩართვა და უშიშროების საბჭოს ანგარიშების წარდგენის მექანიზმში მათი გათვალისწინება;

12. *იღებს გადაწყვეტილებას*, რომ გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმებისგან ქალებისა და ბავშვების დაცვის საგანგებო დებულებები ინდივიდუალური შემთხვევების მიხედვით ჩართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო ოპერაციების მანდატებში. ეს ასევე მოიცავს თითოეული შემთხვევის მიხედვით გენდერული მრჩევლებისა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილებებში ქალთა დაცვის მრჩევლების იდენტიფიცირებას და თხოვნით მიმართავს გენერალურ მდივანს, გაეროს ყველა სამშვიდობო ოპერაციის მომზადებისას უზრუნველყოს ქალთა დაცვის საკითხებზე მრჩევლთა საჭიროების, რაოდენობისა და როლის სისტემატური შეფასება;

13. *ეზმარება* ქვეყნებს, საერთაშორისო საზოგადოების ხელშეწყობით გააფართოონ ხელმისაწვდომობა ჯანდაცვაზე, ფსიქოლოგიურ თუ იურიდიულ დახმარებასა და სოციალურ-ეკონომიკურ რეინტეგრაციაზე სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის, განსაკუთრებით კი სოფლად;

14. *გამოთქვამს განზრახვას*, უკეთესად გამოიყენოს პერიოდული ვიზიტები კონფლიქტის რეგიონებში და ორგანიზება გაუკეთოს ადგილობრივ ქალებთან თუ ქალთა ორგანიზაციებთან ინტერაქტიულ შეხვედრებს შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში მათი საჭიროებებისა და პრობლემების შესახებ ინფორმაციის მისაღებად;

15. *წახალისებს* ლიდერებს ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე, მათ შორის ტრადიციულ ლიდერებსა (სადაც არიან) და რელიგიურ წინამძღოლებს, რომ უფრო აქტიური როლი შეასრულონ სექსუალური ძალადობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებაში, რათა თავიდან აიცილონ მსხვერპლთა მარგინალიზაცია და სტიგმა, ხელი შეუწყონ მათ სოციალურ რეინტეგრაციას და ებრძოლონ დაუსჯელობის სინდრომს ამ დანაშაულებთან მიმართებაში;

16. *მოუწოდებს* გენერალურ მდივანს, წევრ სახელმწიფოებსა და რეგიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, მიიღონ ზომები კონფლიქტის მოგვარებასა და მშვიდობის განმტკიცებასთან დაკავშირებულ მედიაციისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად;

17. *მოუწოდებს*, რომ სექსუალური ძალადობის საკითხები ჩართული იყოს ყველა იმ სამშვიდობო მოლაპარაკების დღის წესრიგში, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერაა დაფინანსებული. ასევე, მოუწოდებს სექსუალური ძალადობის საკითხების ჩართვას სამშვიდობო ოპერაციების საწყის ეტაპზე, განსაკუთრებით ცეცხლის შეწყვეტამდე, ჰუმანიტარული დახმარების გაწევისას და ადამიანის უფლებათა შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებისას, ცეცხლის შეწყვეტისა და ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგის განხორციელების, განიარაღების, დემობილიზაციის, რეინტეგრაციისა და უშიშროების სექტორის რეფორმის პროცესებში, ჯარისა და უშიშროების ძალების ინსპექტირების დროს, მართლმსაჯულების, რეპარაციისა და აღდგენა-განვითარების სფეროებში;

18. *განმტკიცებს* სამშვიდობო კომისიის როლს ინკლუზიური გენდერული მიდგომების პოპულარიზაციაში, რაც ხელს უწყობს კონფლიქტის შემდგომი დესტაბილიზაციის შემცირებას, აღნიშნავს ქალთა მნიშვნელოვან როლს საზოგადოების რეკონსტრუქციაში და მოუწოდებს სამშვიდობო კომისიას, წახალისოს ქვეყნებში მოქმედი ყველა მხარე, რათა მათ საკუთარ დღის წესრიგში ჩართონ და განახორციელონ კონფლიქტის შემდგომ ფაზაში სექსუალური ძალადობასთან ბრძოლის სტრატეგიები;

19. *წახალისებს* წევრ სახელმწიფოებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო ოპერაციების მიმდინარეობის დროს უფრო მეტი ქალი აიყვანონ სამხედრო სამსახურსა თუ პოლიციის რიგებში და ყველა სამხედრო თუ პოლიციის მოსამსახურეს ჩაუტარდეს შესაბამისი ტრენინგი საკუთარი მოვალეობების განხორციელების შესახებ;



20. *თხოვნით მიმართავს* გენერალურ მდივანს, უზრუნველყოს წევრი ქვეყნების სამხედრო და პოლიციის მოსამსახურეთათვის ტექნიკური დახმარების გაწევა, რაც მოიცავს სამხედრო და პოლიციის მოსამსახურეთათვის სექსუალური ძალადობის შემთხვევებთან მუშაობის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების იმ შესავალ ტრენინგებში ინტეგრირებას, რომლებსაც ისინი სამსახურში აყვანამდე და გადასროლამდე გაეცნობიან;

21. *თხოვნით მიმართავს* გენერალურ მდივანს, გააგრძელოს და გააძლიეროს ძალისხმევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო ოპერაციებში სექსუალური ექსპლოატაციის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის დასაანერგად; მოითხოვს იმ ქვეყნებისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯარებითა და პოლიციით, მიიღონ შესაბამისი პრევენციული ზომები, ანუ სამსახურში აყვანამდე და დასაქმების საწყის ეტაპზე ჩაატარონ ტრენინგები ან განახორციელონ სხვა ღონისძიებები, რათა სექსუალური ძალადობის რაიმე სახით გამოვლენისას პერსონალს სრული ანგარიშვალდებულება ჰქონდეს;

22. *თხოვნით მიმართავს* გენერალურ მდივანს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა ორგანოს მიეცეს მიმართულება, რათა მათ უზრუნველყონ გენდერული საკითხების სისტემატური ჩართვა შესაბამის ინსტიტუტებში, ოფისებსა და დეპარტამენტებში; ადგილობრივ წარმომადგენლობებში გამოყონ ფინანსური თუ ადამიანური რესურსები და მანდატების შესაბამისად გააძლიერონ მათი თანამშრომლობა და კოორდინირება შეიარაღებული კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის საკითხებზე მუშაობისას;

23. *მოუწოდებს* გენერალური მდივნის შესაბამის საგანგებო წარმომადგენლებსა და საგანგებო სიტუაციების კოორდინატორებს, გაეროს სამოქმედო ქსელის (UN action network) სტრატეგიული და ტექნიკური ხელშეწყობით, წევრ სახელმწიფოებთან, ყველა შესაბამის მონაწილე მხარესთან კონსულტაციების გზით, სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ მთავრობისა და გაეროს ერთობლივი ფართომასშტაბიანი სტრატეგიების შესამუშავებლად იმუშაონ; ამ საკითხებზე ინფორმაცია რეგულარულად ჩართონ შტაბ-ბინაში წარსადგენ სტანდარტულ ანგარიშებში;

24. *თხოვნით მიმართავს* გენერალურ მდივანს, უზრუნველყოს ინფორმაციის სისტემატური მიწოდება შეიარაღებული კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის გამოყენებისა და წინასწარი გაფრთხილების ინდიკატორების, თავდასხმის ტიპური შემთხვევებისა და ტენდენციების შესახებ, რომელსაც საბჭოსთვის წარდგენილ ყველა შესაბამის ანგარიშში ჩართავენ და ამით ხელს შეუწყობენ გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენლებს, საგანგებო სიტუაციების კოორდინატორს, ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საგანგებო მომხსენებელს და გაეროს სამოქმედო ქსელის თავმჯდომარე(ებ)ს, ზემოაღნიშნულ საგანგებო წარმომადგენელთან კოორდინირებით, უშიშროების საბჭოს წარუდგინონ დამატებითი ინფორმაცია და

დოკუმენტაცია შეიარაღებული კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის ფაქტების შესახებ;

25. თხოვნით მიმართავს გენერალურ მდივანს, ცალკეული სამშვიდობო ოპერაციების შესახებ მის რეგულარულ ანგარიშში საჭიროებისამებრ ჩართოს ინფორმაცია იმ ნაბიჯების შესახებ, რომლებიც სამოქალაქო პირთა, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების, სექსუალური ძალადობისგან დაცვის მიზნით გადაიდგა;

26. მიმართავს გენერალურ მდივანს, მის ანგარიშსა და სხვა შესაბამის დოკუმენტებში ასახული წინადადებების გათვალისწინებით, დაუყოვნებლივ და სასურველია, სამი თვის ვადაში, შეიმუშაოს კონკრეტული წინადადებები შეიარაღებული კონფლიქტისა და კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში ქალებისა და ბავშვების გაუპატიურებისა და სხვა სექსუალური ძალადობისგან დაცვის მონიტორინგისა და ანგარიშების გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემაში წარდგენის უფრო ეფექტიანი და ქმედითი მექანიზმების ჩამოყალიბების შესახებ; გაეროს, ქვეყნების მთავრობების, რეგიონული ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ ექსპერტთა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა გამოცდილების გამოყენებით, უზრუნველყოფილი იყოს დროული, ობიექტური, ზუსტი და სანდო ინფორმაციის მიწოდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სააგენტოების მიერ გაწეულ მუშაობაში აღმოჩენილი ხარვეზების შესახებ, რაც მომავალში ხელს შეუწყობს სათანადო ზომების მიღებას მათ გამოსავლენად;

27. თხოვნით მიმართავს გენერალურ მდივანს, გააგრძელოს უშიშროების საბჭოსთვის წლიური ანგარიშების მიწოდება 1820 (2008) რეზოლუციის განხორციელების შესახებ, 2010 წლის სექტემბერში განსახილველად წარმოადგინოს შემდგომი ანგარიში წინამდებარე რეზოლუციისა და 1820 (2008) რეზოლუციის განხორციელების შესახებ, რაც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს:

(ა) დეტალურ საკოორდინაციო და სტრატეგიულ გეგმას ინფორმაციის დროულად და ეთიკური ნორმების დაცვით შეგროვების შესახებ;

(ბ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიების კოორდინატორების მიერ სექსუალური ძალადობის საკითხებზე გაწეული მუშაობის შედეგების ანგარიშს; კოორდინატორები მჭიდროდ თანამშრომლობენ გაეროს მუდმივ წარმომადგენელთან/ჰუმანიტარულ საქმეთა კოორდინატორთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქვეყანაში მოქმედ სააგენტოთა ჯგუფთან და, გარემოების შესაბამისად, ზემოხსენებულ საგანგებო წარმომადგენელთან ან/და ექსპერტთა ჯგუფთან სქესობორივი ძალადობის საკითხებზე;

(გ) ინფორმაციას შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების შესახებ, რომლებიც საფუძვლიანად არიან ექვმიტანილნი იმგვარ სიტუაციებში გაუპატიურებასა და სექსუალური ძალადობის სხვა სახეების ჩადენაში, რომლებიც უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში დგას;

28. გადაწყვეტილებას იღებს გენერალური ასამბლეის 63/311 რეზოლუციით დადგენილი პროცესის გათვალისწინებით, რომელიც გაეროს გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელ უწყებას წარმოადგენს, გადახედოს საგანგებო წარმომადგენელთა (მე-4 პარაგრაფში წარმოდგენილი მოთხოვნის მიხედვით) და ექსპერტთა ჯგუფის (მე-8 პარაგრაფის მიხედვით) მანდატებს ორი წლის ვადაში, ხოლო შემდეგ - საჭიროების მიხედვით;

29. იღებს გადაწყვეტილებას, გააგრძელოს მოცემულ საკითხზე აქტიური მუშაობა.